# შრომა

## სურათებიანი დამატება

დამატების № 37. ხუთშაბათი 17 აგვისტო 1906 წ. გაზეთის № 108

### ცხოვრების გარეშე დარჩენილი

(შემდეგი *)

#### მოქმედება მეორე

##### გამოსვლა მეხუთე

**ლევან ეგანაძე, ელისაბედ და ნინა.**

**ელისაბედ.** დიდად მოხარული ვარ, რომ კიდევა გნახეთ.

**ლევან.** (ელისაბედს და ნინას ხელს ართმევს).

**ელისაბედ.** როგორ არა გრცხვენიანთ, ჩვენ სოფელში სცხოვრობთ და არც ერთხელ არა გვნახეთ. აღარა გვკადრულობთ?

**ლევან.** უმეტესი ნაწილი ვმოგზაურობდი, ისე რომ ამ სოფელში იშვიათად ვიყავ. მე მეგონა, თქვენ აღარც კი გახსოვართ! (გადახედავს ნინას). გუშინ თქვენ სიძეს უცაბედად შევხვდი აქ და მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ნინა ჩემი ამხანაგის ცოლი გამხდარა! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ (ნინა გაწითლდება და თავს დახრის).

**ელისაბედ.** გმადლობთ, თქვენ როგორღა ბრძანდებით? გვიამბეთ, სად იყავით, როგორა სცხოვრობდით.

**ნინა.** როგორ გავიგე, თქვენ ძალიან დიდხანს ციხეში იჯექით!

**ლევან.** დიდხანს კი არა და ერთ წელიწადს კი ვიჯექი: სულ ექვსი თვეა, რაც თავისუფლება დამიბრუნეს.

**ნინა.** მერე, როგორ გადაიტანეთ დატყვევება? ციხემ თქვენს სისაღეზედ არ იმოქმედა?

**ლევან.** საშინლად. თუ გახსოვთ, მე ყოველთვის ნერვებმოშლილი ვიყავი. ციხეში სისხლ-ნაკლებობა დამემართა და ნერვები ისე საშინლად მომეშალა, რომ მთელი ღამეები ძილი არ მეკარებოდა. ერთის სიტყვით, ნევრასტენიკი გავხდი. მაგრამ ამაზედ ლაპარაკს თავი დავანებოთ, მითხარით, თქვენ როგორღა სცხოვრობთ? (ელისაბედს) თქვენ სრულებით არ დაბერებულხართ! ნინა ცოტად გამხდარა. დიდი ხანია, რაც სანდრო გაიცანით?

**ელისაბედ.** კარგა ხანია. უნივერსიტეტი დაამთავრა თუ არა, მაშინვე სამშობლოში დაბრუნდა და სამკურნალოში ადგილი იშოვნა. ამხანაგების პატივის-ცემა და სიყვარული მალე დაიმსახურა თავის სწავლით და პატიოსნებით. თქვენც დაამთავრეთ სწავლა?

**ლევან (ღიმილით).** არა მე უნივერსიტეტიდან გამომაგდეს ისე რომ, საუბედუროდ, მე ვერ გავხდი ისეთი ნასწავლი, როგორიც ჩემი ამხანაგი სანდროა! (ღიმილით ნინას გადახედავს, რომელიც მთლად წითლდება).

თამარ (მეორე ოთახიდან იძახის). დედა! პატარა ხანს აქ გამოდი, მე მარტო ვერაფერი მომიხერხებია.

**ელისაბედ.** ეხლავე! (ლევანს). უკაცრავად, მე ეხლავე დავბრუნდები. (გადის, გრძელი პაუზა).

**ლევან** (თითქოს თავისთვის). ნინა მეომარიძისა!

**ნინა.** თქვენ კარგად იცით, რომ ჩემი გვარი ეხლა სხვაა...

**ლევან.** ჩემთვის თქვენ ისევ მეომარიძე ხართ... (პაუზა). რამდენი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ამ სოფელში მე და თქვენ ვცხოვრობდით; მეგობრულად ვმუსაიფობდით... წარსული ისე ნათლადა სდგება მეხსიერებაში, თითქოს ყველა ეს გუშინ მომხდარიყოს! გახსოვთ, ქვეით, ბაღში ჩვენ ღმერთზედ, ბუნებაზედ და სხვა ამისთანა საგნებზედ როგორ ვმუსაიფობდით...

**ნინა** (აღელვებული). მას აქეთ იმოდენა ხანი გავიდა, რომ თითქმის აღარაფერი არ მახსოვს! უკეთესი იქნება აწმყოზე ვილაპარაკოთ... დიდი ხნით ჩამოხვედით საქართველოში?

**ლევან.** არა, ზაფხულში აქ დავრჩები... მერე ვიმოგზაურებ, ვნახავ და დავტკბები საუცხოვო ბუნების სილამაზით... შემდეგ სხვაგან გავემგზავრები...

**ნინა.** ისევ რუსეთში წახვალთ?

**ლევან.** არა, საზღვარ გარეთ ვაპირობ, შეიძლება ამერიკაში წავიდე. (პაუზა) თქვენ რატომ თქვენ თავზედ არაფერს ამბობთ? თქვენ თვალებში ღრმა სევდა და დარდი იხატება, ნუ თუ .. ბედნიერი არა ხართ?

**ნინა.** (გაწითლდება და დამშვიდებით უპასუხებს). თქვენი კითხვა საშინლად მაკვირვებს! მე მეტის მეტად კმაყოფილი ვარ ჩემის ცხოვრებით. მე ჩემს თავს ბედნიერადა ვსთვლი.

**ლევან** (ირონიით). მეც ეგრე მგონია! არ უნდა იყოთ ბედნიერი. თქვენი ქმარი მეტის-მეტად პატიოსანი და ჭკვიანი კაცია, უეჭველია, თქვენც უყვარხართ...

**ნინა.** გთხოვთ, ამ ლაპარაკს თავი დაანებოთ...

**ლევან** (მტკიცედ). მე თქვენ თვალებში გიყურებთ, თვალებიდან ვიხედები გულის სიღრმეში და, ჩემთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ ბედნიერი არა ხართ!

**ნინა** (ხვეწნით). დავანებოთ ამ ლაპარაკს თავი!

თამარ (შემოდის). გთხოვთ, მობრძანდეთ, ყავა მიირთვათ.

**ლევან.** დიდის სიამოვნებით. (ყველანი მეორე ოთახში გადიან. შემოდის პეტრე და ნინო.)

##### გამოსვლა მეექვსე

მთვრალი პეტრე და ნინო, მერე ელისაბედ.

**პეტრე.** გეუბნები, დაუძახე მეთქი! რა ვუყოთ, რომ სტუმარი ჰყავთ. (ნინო მიდის. პეტრე წინ და უკან დადის. იმის სახეს მტკიცე გამომეტყველება აქვს. შემოდის ელისაბედ და ნინო. ეს უკანასკნელი გარედ გადის).

ელისაბედ. პეტრე, რატომ არ შემოხვალთ? წამოდით, ყავა მიირთვით, ლევან ეგანიძეც იმ ოთახშია.

*) იხ. დამატება № 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე. გმადლობთ... ისეთი სერიოზული საქმე მაქვს, რომ იმისი გადადება ყოვლად შეუძლებელია. თუ შეიძლება, აქ დარჩით პატარა ხანს და ყური დამიგდეთ!

ელისაბედ. კარგი, მაგრამ არ მესმის, რა საქმეა?

პეტრე. დაბრძანდით და ყური დამიგდეთ. (დასხდებიან). თქვენ კარგად იცით, რომ მე ერთი, ღარიბი აზნაურის შვილი ვარ. მამა-ჩემმა თავისი ქონება გაფლანგა და სიღარიბეში დალია სული. მე ქალაქში წამიყვანეს და ხან დურგალს მიმაბარეს, ხან ხარაზს. რამდენი ტანჯვა გამოვიარე, ამაზედ მეტია ლაპარაკი; ბოლოს, ერთი ღვთისნიერი ნათესავი გამომიჩნდა, რომელმაც სკოლაში მიმცა. გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან გამოვედი და სამსახურში შევედი. ვცხოვრობდი ღარიბად და კაპეიკობით ფულს ვაგროვებდი. ჩემის შრომით, ჩემის ოფლით ქონება შევიძინე; ისე რომ ეხლა, თამამად შემიძლიან მომავალს ვუყურო! აქ, თქვენს სოფელში უკვე შევიძინე პატარა მამული, კოხტა სახლი...

ელისაბედ. ღმერთმანი, არ მესმის, რისთვის მიამბობთ თქვენს თავგადასავალს...

პეტრე. ეხლავე მოგახსენებთ! (გრძნობით). აქ, ამ სოფელში, როდესაც პირველად გავიცანი თქვენი ქალი, ჩემს გულში გაიღვიძა ბედნიერების წყურვილმა. თქვენი ქალის სიმშვენიერემ თავს-ბრუ დამახვია, გამაგიჟა... ამიტომ მინდა იცოდეთ, რომ მე ღარიბი არა ვარ. .

ელისაბედ (შეშფოთებული). მაშასადამე შენ. .

პეტრე (გულზე ხელებს დაიკრეფავს) მე გემუდარებით, თქვენი ქალი უნდა მომათხოვოთ ცოლად. გარწმუნებთ, თამარ ჩემთან ბედნიერი იქნება!



ტობოლის გუბერნიაში გადასახლებულ ქართველთა ერთი ჯგუფი.
(იხილე „შრომა“ № 103)

ელისაბედ (ფეხზე წამოდგება). თავის დღეში ვერ მოვიფიქრებდი, თუ შენისთანა ჭკვიან კაცს ეგეთი აზრი მოუვიდოდა! შენ და ჩემი ქალი საერთმანეთო არა ხართ! ჯერ ერთი, შენ უმაღლესი სწავლა არ მიგიღია, არც გვარიშვილობა გაქვს შესაფერი, ეგეც არ იყოს, შენ ჩემთან სამსახურში ხარ და ვის გაუგონია, რომ მოჯამაგირეს ქალი მიათხოვონ!

პეტრე (ამაყად). მოურავი მოჯამაგირე არ არის.

ელისაბედ. ერთის სიტყვით უარს გეუბნები. (მეორე ოთახისკენ მიდის).

პეტრე (თავისთვის). აქ სხვა ნაირი იარაღია საჭირო... (ელისაბედს) მოითმინეთ!

ელისაბედ (შესდგება). რა გნებავთ?

პეტრე. ერთი წამიც მოითმინეთ, კიდევა მაქვს პატარა უმნიშვნელო საქმე. დაბრძანდით, თუ შეიძლება. (უბიდან ქაღალდებს იღებს). რამდენისამე წლის განმავლობაში თავადი ზაალი მართმევდა ხოლმე ჩემის შრომით და ოფლით მოპოვებულ ფულს. აი, ვექსილები! ეხლა, რადგან ჩემი იმედი დამარხეთ, რადგან აქ ამ სოფელში გულ-მოკლული ვიქნები, გარდავწყვიტე გადასახლება. ამიტომ, თავადი ზაალი ჩამოვა თუ არა, სთხოვეთ ჩემს მაგივრად, ვალი გადამიხადოს...

ელისაბედ (შეშფოთდება). ბევრი ჰმართებს?

პეტრე. არა, სულ ორი ათასი თუმანი...

ელისაბედ (უნებურად შეჰყვირებს). რას ამბობ?! შეუძლებელია! მაგდენი თავის დღეში არ გამოურთმევია!

პეტრე (ცივად). ვექსილებზე თქვენ ქმარს უწერია ხელი, ასე რომ ტყუილს ვერ ვიტყვი. ან რასაკვირელია, რომ ორი ათასი თუმანი ვალად აგელოთ? თავადი ზაალი ყოველ წელი-

## სპარსეთში კონსტიტუციის გამოცხადება.
### დღესასწაული ტფილისში



სპარსეთის კონსული მეჩეთიდან გამოდის.



სპარსეთის კონსული მეჩეთიდან საკონსულოში მიდის.



სპარსელები მეჩეთიდან მოდიან, სადაც სამადლობელი პარაკლისი გადიხადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წადს ისეთ წვეულებას გამართავდა ხოლმე, რომ აუარებელი ფული იხარჯებოდა! ნინას ქორწილი საშინლად ძვირად დაჯდა. ყოველთვის თავადი ჩემგან სესხულობდა ფულს, ნინას მზითვადაც კი ჩემი ფული გაატანა! ამას გარდა, ბევრჯელ აულია წვრილმანი ვალი. ყველა ამას სარგებელი დაუმატეთ და აღარ გაიკვირვებთ, რომ ვალი ორი ათას თუმნამდისავიდა.

**ელისაბედ.** ჩვენ ეხლა მაგდენი ფული არა გვაქვს. რასაკვირველია, ვალს გადაგიხდით, მაგრამ დაცდა დაგჭირდებათ.

**პეტრე.** უკაცრავად, დაცდა არ შემიძლიან. მინდა ჩქარა წავიდე აქედან, შეიძლება საზღვარ-გარედაც მომიხდეს წასვლა, ამიტომ საჭიროა, აქ ყველა ჩემი საქმე ჩქარა მოვაწყო...

**ელისაბედ.** თუ კი არა გვაქვს მაგდენი ფული! თუ კი არ შეგვიძლიან ორი ათასი თუმნის ერთად მოცემა?! ქვებს ხომ ოქროდ ვერ გადავაქცევთ?

**პეტრე** (მშვიდად). ქვებს, რასაკვირველია, ოქროდ ვერ გადააქცევთ, მაგრამ ზვრის, ტყის, სახნავ მიწების ოქროდ გადაქცევა ძალიან ადვილია!

**ელისაბედ** (გაბრაზებული). იქნება გგონია, რომ შენი წიტიანი ფულის გულისთვის მამულს გავყიდით?

**პეტრე.** მე არაფერი არა მგონია! თუ ჩემს წვითა და დაგვით შეძენილ ფულს არ მომცემთ, იძულებული ვიქნები სასამართლოს მივმართო· მაშინ ბოქაული თითონ გაჰყიდის თქვენს მამულს და ჩემს ფულს ჩამაბარებს, თუ გახსოვთ,

**პეტრე** (ზრდილობიანად და რბილად). იმედი მაქვს, უპატიოსნობაში არ ჩამომართმევთ ასეთს საქციელს, ეგ ორი ათასი თუმანი, როგორც უკვედ მოგახსენეთ, ჩემის შრომით და ოფლით მოვაგროვე. აქ რომ ვრჩებოდე, ვფიცავ არ შეგაწუხებდით! განა ამ ვალის შესახებ აქამდის კრინტი დამიძრავს, მაგრამ ეხლა შორს მივემგზავრები. არ შემიძლიან ვიცხოვრო აქ, ვუყურო თქვენს სახლს და გულმოკლული ვფიქრობდე, რომ ამ სახლში სცხოვრობდა ის, ვინც დაატყვევა ჩემი გული! აქ ცხოვრება ჩემთვის ჯოჯოხეთი იქნება! არა, შორს აქედან!..

**ელისაბედ.** დავიჯერო, ეგრე საშინლად გიყვარს ჩემი ქალი?

**პეტრე.** მე მჭერმეტყველი არა ვარ, რომ ნათლად დაგისურათოთ ის დიადი გრძნობა, რომელიც მეფობს ჩემს გულში! ენა ვერ გამოსთქვამს იმ ტანჯვას, რომელიც მოუდება ხოლმე მთელს ჩემს არსებას, როდესაც ვფიქრობ, რომ თამარ ჩემი ცოლი არ იქნება...

**ელისაბედ.** დარწმუნებული მაინც რომ ვიყო, რომ ჩემი თამარ შენთან ბედნიერი იქნება...

**პეტრე.** დაფიქრდით, რატომ არ უნდა იყოს ბედნიერი, საცხოვრებელი, მადლობა ღმერთს, ბევრი გვექნება. სიმდიდრე ნებას მომცემს, ყველა მისი სურვილი დავაკმაყოფილო. მთელი ჩემი სიცოცხლე თვალებში ვუყურებ, რომ ყველა მისი ბრძანება შევასრულო. ამას გარდა, მე თქვენი მორჩილი შვილი ვიქნები. მამულს ისე კარგად მოვუვლი, რომ ხუთჯერ მეტი შემოსავალი მოიტანოს, ვიდრე ეხლა მოაქვს.

## ახალი ქანდაკებანი



**ვაკხანი და სატირა**.—ქანდ. ინზალაბერტისა.



**რთველი.**—ქანდ. ვერმრისა.

თქვენ თვალწინ მოხდა ესეთი მაგალითი! მოიგონეთ თავადი ივანე... (ელისაბედ შეშინებული ჩაფიქრდება. პაუზა).

**ელისაბედ.** ჩემზე არაფერია დამოკიდებული. მე გინდ დავთანხმდე, ზაალ არ დასთანხმდება. გარდა ამისა, ხომ იცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარის ხასიათი? თავის დღეში ისე [illegible] სხვა ურჩევს. თუ თვითონ არ მოისურვებს შენზედ გათხოვებას, ჩვენი რჩევა ამაოა!

**პეტრე.** ოღონდ თქვენ მომეცით თანხმობა და ჩვენი საქმე კარგად წავა, ზაალი ჯერ გაჯავრდება და მერე დამთანხმდება. რაც შეეხება თამარს, თქვენ შემცდარი ხართ. ის მეტისმეტად გამოუცდელი ახალგაზრდაა... ჯერ ცხოვრების გრიგალს არ დაუქროლიავს იმის გარშემო და ამიტომ ჰგონია, რომ იგი ძლიერი პიროვნებაა. ნამდვილად კი თამარ მეტისმეტად ნაზი ლერწამია, რომელიც ქმრის პირველ დარბევასაც ვერ გადაიტანს და გადიზნიქება. თქვენ და ზაალმა რომ მტკიცედ დაუწყოთ ჯერ თხოვნა, მერე ბრძანება და მუქარა, გარწმუნებთ, თამარი ბოლოს დასთანხმდება... ეხლა მე წავალ და თქვენი იმედი მექნება!

**ელისაბედ.** მე არავითარ პირობას არ გაძლევთ. ჯერ მე თვით არ ვიცი, როგორ მოვიქცევი!

**პეტრე.** გმადლობთ მაგისთვისაც, პირობის მოცემა რა საჭიროა; მხოლოდ გთხოვთ... დაფიქრდით და ისე მოიქეცით, როგორც თქვენთვის, თქვენი ქალისთვის და ჩემთვისაც სასარგებლო იქნება, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.. ნუ შეშფოთდებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩემს ერთად-ერთ ოცნებას შეადგენს თქვენ მორჩილ შვილად გახდომა! (ხელზე ჰკოცნის და გ დის გახარებული).

**ელისაბედ** (უძლურად ტახტზედ დაეშვება). ღმერთო, ნუ თუ ჩვენც ივანეს ოჯახის ბედი გვეწვია!

### გამოსვლა მეშვიდე.

ელისაბედ და თამარ, შემდეგ ლევან და ნინა.

**თამარ** (შემოდის და გაკვირვებული შესცქერის დედას). რა დაგემართა? რამ წაგართვა ფერი? ავად ხარ?

**ელისაბედ.** არა, ისე... ცოტად სუსტათა ვგრძნობ თავს..

**თამარ.** ვინ იყო აქ? ვის ელაპარაკებოდი ამდენს ხანს?

**ელისაბედ.** პეტრე.

**თამარ** (მივარდება და ხელს სტაცებს). ჩქარა მითხარ, რაზედ ლაპარაკობდით! გევედრები, ნურაფერს ნუ დამიმალავ!

**ელისაბედ.** მამულზედ ვლაპარაკობდით! რომ იცოდე, რამდენი ვალი დაგვდებია პეტრესი! ერთ მშვენიერ დღეს შეუძლიან შიშველ-ტიტველნი დაგვტოვოს!

**თამარ.** სხვა არაფერზედ არ ლაპარაკობდით? მე ვგრძნობ, რაღაცას მიმალავ! ჩემზედ რას ამბობდით?

**ელისაბედ.** მოიცა შვილო, ყველაფერს გეტყვი, დამაცადე ჯერ ზაალი ჩამოვიდეს, ჯერ უნდა იმას მოველაპარაკო! (ისმის სკამის რახუნი).

**თამარ.** ნინა და სტუმარი მოდიან აქ, მაგრამ იცოდე, დედა, სტუმარი წავა თუ არა, უნდა ყველაფერი დაწვრილებით მიამბო! (შემოდიან ლევან და ნინა).

**ნინა.** თამრო, მინდა ლევანს ჩვენი ზვარი ვაჩვენო, ვერც კი იცნობს, ისეა გადაკეთებული! დღე მშვენიერია, არა ცხელა, წამოდი შენცა.

**თამარ.** დიდის სიამოვნებით, პატარა მომიცადეთ, ქუდს დავიხურავ, პატარა კალათას ვიპოვი და წამოვალ.

**ნინა.** ჩვენ წავალთ და შენც დაგვეწიე...

**ლევან** (ელისაბედს ხელს ართმევს). მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (ლევან და ნინა გადიან).

**თამარ.** (საჩქაროდ საკარაკით ქუდს იხურავს, მერე დოთხში შეირბენს და კალათას აიღებს, კარებისკენ მიდის, შეჩერდება და დედას ეუბნება). დედა, შენ ნურავის ნუ უგდებ ყურს! რაც უნდა გითხრან ჩემზედ, ნუ დაიჯერებ: მე მკითხე და სიმართლეს ჩემგან გაიგებ! (გადის).

**ელისაბედ** (დაფიქრდება). აქ კიდევ რაღაცა იმალება.

**შალვა ნათაძე.**

(შემდეგი იქნება.)

## გასართობი

**ლოთობის წინააღმდეგ.**—დ—რი შარლ დანა შეერთებულ შტატების ერთ უნივერსიტეტის პროფესორი ნერვოლოგიისა ამტკიცებს, ადამიანი ლოთობას ოც წლამდე იწყებს და მეტის-მეტად იშვიათად მოხდება, რომ ორმოცის წლის კაცი გალოთდესო. ლოთობის საწინააღმდეგოდ, დ—რის აზრით, წამლობა უსარგებლოა, რადგან ჯერ მეცნიერებამ არ იცის მისი უებარი წამალი; საჭიროა კანონმდებლობამ იზრუნოს ამ სენის აღმოფხვრაზე და ამისთვის სრულიად საკმარისი იქნება, რომ სასმელების გამყიდველთ ნება არ ჰქონდეთ მცირე წლოვანთ მაგარი სასმელი მიჰყიდონ. ლოთობა იმდენად მავნებელია თვით მსმელისა და იმის შთამომავლობისათვის, რომ ინგლისსა და ირლანდიაში „სიფხიზლის საზოგადოებანი“ საჩუქარს აძლევენ ნაღდ ფულად იმათ, ვისაც ოცდა ხუთ წლამდე ღვინო, არაყი, ლუდი და სხვა ალკჰოლიანი სასმელი არ უსვამს, ამ საჩუქარს რომ სასტიკი ჯარიმა დაემატოს, რომელიც გადახდება მედუქნეს, თუ მცირე წლოვანს დაალევინა რამე, მიზანს ორის მხრით მიუახლოვდება არყისაგან გათახსირებული კაცობრიობა. სტატისტიკურის ცნობებით დამტკიცებულია, რომ ინგლისში სამი მილიონი სული სრულიად არა სვამს მაგარ სასმელებს, 14 მილიონი ბავშვია (16 წლამდე) და დანარჩენი 24 მილიონი იმდენ არაყს სვამს, რომ თითო ადამიანი 54 მანეთს ხარჯავს წელიწადში. ინგლისელ მუშის შემოსავლის ერთი მეექვსედი სასმელებზე იხარჯება. დანას პროექტი შეერთებულ შტატების კონგრესს მოეხსენდა და შეიძლება შესაფერი კანონმდებლობაც გამოიწვიოს, შტატების მაგალითს ინგლისი მოჰყვება და, ძირიანად თუ არა, ცოტათი მაინც შემცირდება ლოთობა

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ხ. რცხილაძე.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველ დღიური გაზეთი

„შ რ ო მ ა“

სურათებიანის დამატებით პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 3 მანეთი და 50 კაპ.

ს. ... ს. ხოშტარიას სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.